პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 85 (1255) | ხუთშაბათი, 17 ივლისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

## 24 აგვისტოს აღინიშნება ფიზკულტურელის დღე

**ამხანაგო ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, წარმატებით შევხვდეთ ამ მნიშვნელოვან თარიღს!**



ჭიათურელმა სპორტსმენებმა ამ დღეებში მიიღეს მშვენიერი საჩუქარი: მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ დაამთავრა კეთილმოწყობილი კალათბურთის მოედნის მშენებლობა.

• • •

სურათზე: ჭიათურის კალათბურთის ახალი მოედნის ხედი.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა

## ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტში

მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და მოსამსახურე პერსონალი დააჯილდოვა „ფიზკულტურის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით: ვ. პ. ჯაველიძე — ჰიგიენისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ს. ი. კორძაია — ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, მ. ი. მაისურაძე — ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, მ. ნ მელაძე — ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. მ. ნემსაძე — ფიზიკური აღზრდის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. ა. ბალაევიჩი — ალპინიზმისა და თხილამურების კათედრის გამგე, ე. ა. ანტონოვი — სპორტთამაშების კათედრის უფროსი მასწავლებელი, ი. ი. ალიხანოვი — ძალოსნობის კათედრის გამგე, გ. პ. რევია — ცურვის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ვ. დ. ნოსკოვი — ალპინიზმისა და თხილამურების კათედრის უფროსი მასწავლებელი, მ. კ. ელენტი — ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, გ. მ. თვალაძე — პროფესორი, ანატომიის კათედრის გამგე, შ. ა. ჩახნაშვილი — ანატომიის კათედრის დოცენტი, შ. ვ. ელიაშვილი — ფიზკულტურის მასწავლებლების დახელოვნების კურსის უფროსი, ა. დ. ხუციშვილი მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის სიგელით: გ. ვ. ვარძელაშვილი — ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ლ. გ. გიორგაძე — მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ლ. ვ. გოლოვნია — ფარიკაობის კათედრის გამგე, მ. ა. გიორგაძე — ფიზიკური აღზრდის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე, რ. გ. გრიგორიანი, შ. ა. დარასელია — ფარიკაობის კათედრის მასწავლებელი, ვ. მ. ჯაფარიძე — ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი, შ. მ. დიასამიძე — სპორტთამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. ი. ჯორჯაძე — ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, გ. ი. დოლიძე — ანატომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დ. მ. იოსელიანი — დოცენტი, მძლეოსნობის კათედრის გამგე, შ. კ. კალანდარიშვილი—დოცენტი, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, ქ. ი. კაპანაძე — ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი, თ. ი. კახიძე — ქიმიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, რ. ს. კერესელიძე — ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, შ. ს. კილაძე — მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ო. გ. ლაკერბაი — მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ქ. მ. მახარაძე — ბიბლიოთეკის გამგე, თ. ს მაჩაბელი — მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დ. ვ. მაჭავარიანი — ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი, ნ. გ. მეიფარიანი — ტანვარჯიშის კათედრის გამგე, გ. კ. მეუნარგია — სპორტთამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი, მ. ი. მირზიაშვილი — ფიზიოლოგიის კათედრის ლაბორანტი, ს. პ. ნარიკაშვილი — პროფესორი, ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, გ. ბ. ნიკოლაიშვილი — პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, ლ. გ. ფალავანდიშვილი — სპორტთამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. გ. ფალავანდიშვილი — ინსტიტუტის დირექტორი, ნ. გ. სალუქვაძე — ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, თ. ვ. სანებლიძე — ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ვ. ა. სამსონაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მ. ი. თიკანაძე — ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ა. ნ. წერეთელი — სპორტთამაშობათა კათედრის გამგე, ა. ე. ციბაძე — ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი, თ. ტ. ჩიკვაიძე — ჰიგიენისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი, დ. ვ. ჩიკვაიძე — ტანვარჯიშის კათედრის დოცენტი, ა. ი. შინჯიაშვილი — კათედრის გამგე, ვ. ი. ელაშვილი — დოცენტი, ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

• • •

ფიზკულტურასა და სპორტში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა „ფიზკულტურის წარჩინებულის" ნიშნით დააჯილდოვა სპორტნაგებობათა რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარე მ. ს. ჩიკვაიძე.

## სამგზის ჩემპიონი

✦

### დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობა

✦

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის უკანასკნელ ტურს უნდა გამოერკვია არა მარტო ჩემპიონის საკითხი, არამედ ისიც, თუ ვინ გააკეთებდა არასასურველ მოგზაურობას „ა" კლასიდან — „ბ" კლასში.

როცა მოედანზე ერთმანეთის პირისპირ მოეწყვნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" კალათბურთელები, მრავალრიცხოვან მაყურებლებს შორის არავის ეპარებოდა ეჭვი დინამოელთა გამარჯვებაში. მაგრამ ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. აუტსაიდერმა ადვილად გატეხა თბილისელთა წინააღმდეგობა და შეხვედრა მოიგო ანგარიშით 82:66. მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა ალმა-ატის „ბურევესტნიკი" — 64:57, ხოლო კაუნასის „ჟალგირისმა" — რიგის „სპარტაკი" — 71:67.

დიდ ინტერესს იწვევდა თბილისის „ბურევესტნიკისა" და სვერდლოვსკის „ტრუდის" თამაში. გამარჯვების შემთხვევაში სვერდლოვსკელები ინარჩუნებდნენ მომავალ წელს „ა" კლასში თამაშის უფლებას, ხოლო სტუდენტები „ბ" კლასში გადადიოდნენ. „ტრუდის" კალათბურთელთა ყოველ ცდას ხელთ ეგდოთ ინიციატივა, სტუდენტები აქტიური წინააღმდეგობით პასუხობდნენ. შემდგომში თბილისელები სულ უფროდაუფრო უკეთ თამაშობდნენ და ეს საპასუხისმგებლო მატჩი მოგებულ იქნა ანგარიშით 64:57. ამრიგად, ორივე გუნდმა დააგროვა 7-7 ქულა და მოსკოვის „სპარტაკის" (რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა) „პარტნიორის" გამოსავლინებლად სვერდლოვსკის „ტრუდსა" და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი.

თამაში დაიწყო თბილისელების შეტევებით. პირველ წუთებზე ანგარიში იყო 7:2, 12:9, 19:12 „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ სტუდენტ კალათბურთელებს ნერვიულობა დაეტყოთ, ისინი ხშირად კარგავდნენ ბურთს, რითაც კარგად ისარგებლეს სვერდლოვსკელებმა და 32-ე წუთზე ანგარიში უკვე გათანაბრდა — 41:41. თამაშის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 55:55.

დამატებითი 5 წუთი თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს და მოიგეს ეს პრინციპული და მასთან მეტად ძნელი მატჩი ანგარიშით 62:61. ამრიგად, „ა" კლასი დატოვეს მოსკოვის „სპარტაკისა" და სვერდლოვსკის „ტრუდის" კალათბურთელებმა.

ნ. გუგუშვილი,
გ. ჟორჟოლაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო რიგა | 22 | 19 | 3 | 19 |
| ცსკმო | 22 | 17 | 5 | 17 |
| „დინამო" მოსკოვი | 22 | 15 | 7 | 15 |
| „ბურევესტნიკი" ლენინგ. | 22 | 13 | 9 | 13 |
| „დინამო" თბილისი | 22 | 11 | 11 | 11 |
| „ბურ". ალმა-ატა | 22 | 10 | 12 | 10 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 22 | 10 | 12 | 10 |
| „სპარტაკი" რიგა | 22 | 9 | 13 | 9 |
| „კალევი" ტალინი | 22 | 8 | 14 | 8 |
| „ბურ". თბილისი | 22 | 7 | 15 | 7 |
| „ტრუდი" სვერდლოვსკი | 22 | 7 | 15 | 7 |
| „სპარტაკი" მოსკოვი | 22 | 6 | 16 | 6 |

საქართველოს მოსწავლეთა X სპარტაკიადის დღეებში ნორჩ მძლეოსანთა ასპარეზობის მაყურებლები სასიამოვნო სიურპრიზის მოწმენი გახდნენ: სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, რომ 1500 მეტრზე რბენაში, ამ მეტად ძნელ დისტანციაზე, პირველი და მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდას სკოლის მოსწავლეებს — გივი ბერიძესა და კობა ჯაშიაშვილს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს მოზარდ მძლეოსანთა ნაკრებში უშუალოდ სოფლის ძირეული კოლექტივიდან ჩაირიცხნენ სპორტსმენი-მოსწავლეები.



შემთხვევითი ხომ არ იყო ეს წარმატება? — ტრიბუნაზე მყოფთაგან ბევრს აინტერესებდა ეს საკითხი.

სრულიადაც არა! ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ არაშენდის საშუალო სკოლაში 3 მეორეთანრიგოსანი და 18 მესამეთანრიგოსანი მძლეოსანია აღზრდილი. არაშენდელ მოსწავლეთა შესანიშნავი გამარჯვება იმ დიდი, გულმოდგინე და სისტემატური მუშაობის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ამ სოფლის სკოლაში ატარებს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მძლეოსნობის ენთუზიასტი — დავით ნაცვლიშვილი. სოფლის ძნელ პირობებში მან შეუპოვარი შრომით შეძლო მძლეოსნური სპორტი ისეთ დონეზე დაეყენებინა მოსწავლეთა შორის, რომელზეც მხოლოდ ნატვრა შეუძლიათ თბილისისა და სხვა ქალაქების ბევრ სკოლას, სადაც სამისოდ ყოველგვარი პირობები გაჩენია.

ქვემოთ მოთავსებული ნარკვევი — „არაშენდაშიც იზრდებიან ჩემპიონები“ — არაშენდას საშუალო სკოლაში გაშლილი მუშაობის სწორედ ამ ძვირფას თვისებებზე მოგვითხრობს; ამ მუშაობის გაცნობა ბევრისათვის საგულისხმო და მისაბაძი ნიმუში იქნება.

# არაშენდაშიც იზრდებიან ჩემპიონები

სკოლის მეზობელი სახლის აივანზე გადმომდგარი ქალები გაოცებით გასცქეროდნენ კაკლის ხის ჩრდილით დაბურულ ვრცელ ეზოს.

— რა ვქნა, ხო არ შეშლილა ეს ფინგნის ბიჭი! — ველარ მოითმინა ერთმა მათგანმა, — რას აკეთებს, ქა? რა გიჟივით დარბის!...

„ფინგნის ბიჭი“ კი — დავით ნაცვლიშვილი ყურადღებას არ აქცევდა გამკილავ სიცილს, რომელიც აივნიდან ისმოდა და ბეჯითად განაგრძობდა თავის საქმეს.

თავის მხრივ, დავითსაც ეცინებოდა მეზობლების გულუბრყვილობაზე და იხსენებდა იმ დროს, როცა მასაც ფიზკულტურის ინსტიტუტში შესვლამდე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა მძლეოსნობაზე.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1954 წელს, დავითი სპორტსაზოგადოება „სპარტაკში“ გაანაწილეს სამუშაოდ, ინსტრუქტორის თანამდებობაზე. აქ დიდხანს არ დაუდგა გული დაუდეგარ ჭაბუკს და ორიოდე თვის შემდეგ მშობლიურ სოფელს მიაშურა, მას მთელი არსებით სურდა თანასოფლელებისათვისაც „გადაედო“ ის დიდი სიყვარული, რომლითაც იგი მძლეოსნობისადმი განიმსჭვალა. სურდა არაშენდელი ახალგაზრდებიც ეზიარებინა მის მომხიბვლელ, წარმტაც სტიქიასთან...

თვითონვე განსაჯეთ — განა შეეძლო მეზობელთა მითქმა-მოთქმას რამდენადმე მაინც დაეცხრო თავის საქმეში შეყვარებული მძლეოსნის, სოფლის ფიზკულტურის მასწავლებლის, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრის ეს დიდი ენთუზიაზმი? სამაგიეროდ იგივე მითქმა-მოთქმა, უფრო ზუსტად — კახეთის გორაკებზე მიკარგული სოფლის მცხოვრებთა გაუთვითცნობიერებლობა, ირონიული დამოკიდებულება ამ „ტლინკაობისადმი“ ერთობ მძიმე დაბრკოლებას წარმოადგენდა ჩანაფიქრის ხორცშესხმის გზაზე. აკი გუშინაც ცულლუტური ღიმილით მოუჭრა ცოცხალთვალებიანმა ბიჭუნამ მასწავლებელს, როცა მან თავისი იდეა გაანდო ბავშვებს:

— სირბილის სწავლა ვის გაუგონია, მასწავლებელო!.. დამჭირდება და ისე გავიქცევი, მგონი ჩვენებიანთ იორღაც ვერ დამეწიოს...

ძნელი იყო ასეთ პირობებში დაწყება. მოსწავლეები სათოფეზეც არ ეკარებოდნენ ჯერ მხოლოდ ქაღალდზე და მასწავლებლის თავში არსებულ მძლეოსნობის სექციას. თამაშებში? — დიდი სიამოვნებით! რომელი ბავშვი არ გამოეკიდება ბურთს! მაგრამ სირბილში ყოველდღიური წვრთნა?! სირბილის „სწავლა“?! სიცილადაც არ ყოფნიდათ ბავშვებს:

— აბა რა არის, არც გართობაა, არც ბურთია. ეგრეთი სპორტი ვინ გაიგონა?

მაგრამ დავითი მაინც დაჟინებით განაგრძობდა ნორჩი გულებისაკენ უტყუარი გასაღების ძებნას და ბოლოს, სკოლის დირექტორთან ერთად გადაწყვეტილებაც მიიღო.

— როგორა ფიქრობთ, ჩვენს სკოლაში ყველაზე მარდი ვინ იქნება? — გამომწვევი კითხვა დაუსვა ერთ დღეს მოსწავლეებს, — მე მგონი გივი ყველას გაასწრებს.

— ვითომ გივი რათაო, მასწავლებელო? — წამოიძახა ოთარ კვეზერელმა, — მე რა, მაგაზე ნაკლებად გავიქცევი?

— თვალმიხილაშვილი ყველას აჯობებს — გამოითქვა სხვა აზრიც.

— მჯობნის მჯობნი არ დაილევაო... — აყაყანდნენ ბავშვები.

დავა ისევ მასწავლებელმა გადაჭრა:

— იტყვიან, ჰა ბურთი და ჰა მოედანიო, — თქვა მან, — ხვალიდანვე გავაჯიბრებთ ერთმანეთს სირბილშიცა და ხტომაშიც. ვნახოთ, ვინ იქნება სკოლის ჩემპიონი! — ბოლო სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი.

ეს უკვე რაღაცას გავდა! ერთმანეთის ჯობნის სურვილი, სპორტული ჯიბრი გაუჩნდათ ბავშვებს და მეორე დღესვე სიცილ-ხარხარით, შეძახილებით ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას რბენაშიც, ხტომებშიც, ყუმბარის ტყორცნაშიც. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ არაშენდელი მოსწავლეები გაუთავებლად და ხმამაღლა დავობდნენ:

— 100 მეტრი რა ბედენაა, ბიჭობა ის არის 1500 მეტრს გაუძლო და ყველას აჯობო.

— რას ამბობ, ბიჭო, აბა გაზეთში წაიკითხე, სპრინტერს უფრო დიდი სახელი აქვს, თუ იმას... აი, რა ქვია.

— „სტაიერს“, — შეაშველა ვილაცამ...

ასე ჩაიყარა საძირკველი!..

და თუმცა სტიქიურად აფეთქებულმა ჯიბრმა მალე ჩაიარა და ბევრი მათგანიც ისევ შემოეფანტა მასწავლებელს, რომლებიც მან უბის წიგნაკში ჩაინიშნა სირბილის „სასწავლებლად“, მაგრამ ოთხ ბიჭუნას უკვე საფუძვლიანად გაჯდომოდა მასწავლებლის „ავადმყოფობა“ და დავით ნაცვლიშვილმაც მათგან დაიწყო.

მან საკუთარი თანხით შეიძინა 4 წყვილი სპორტული ფეხსაცმელი, ორი ცალი საწვრთნელი ფორმა და თავის პირველ მერცხლებს დაურიგა.

— აბა, მონდომებით, მონდომებით! — ყოველდღიურად გაისმოდა მისი ხალისიანი ხმა სკოლის ეზოში და ოთხეულიც გულდასმით ასრულებდა მწვრთნელის ყოველ მითითებას, — ცოტა ხანიც და ჩვენ ყველას დავუმტკიცებთ, რას ნიშნავს მძლეოსნობა. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო...

ეს ქადილი კარგა ხანს ქადილად რჩებოდა, მძლეოსნური „ჯგუფი“ კი ისევ ისე, დიდი პირობითობით თუ ამართლებდა ამ სახელწოდებას: თუმცა არ მოკლებია, არც არავინ მომატებია „ეულად“ მყოფთ.

ბოლოს, დადგა „შემოდგომაც“. რაიონულ ცენტრში გაიმართა მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრება. თავისი ერთგული ოთხეულით წარსდგა იქ დავით მასწავლებელი და შესანიშნავი გამარჯვებაც მოიპოვა: გივი ბერიძე, ოთარ კვეზერელი და კაკო თვალმიხილაშვილი რაიონის ჩემპიონები გახდნენ სხვადასხვა დისტანციებზე, ხოლო გივი მამისაშვილი მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

ახალი ბიძგი მიეცა არაშენდას სკოლაში მძლეოსნობის განვითარების საქმეს. იმავე დღეს რაიონული გაზეთის რედაქციაში შეირბინა დავითმა თხოვნით:

— თქვენ გენაცვალეთ, პირველობაზე რომ დაწერთ, იქნებ ჩემი ბავშვებიც მოიხსენიოთ. საქმეში დამეხმარება, სხვებსაც მოვიზიდავ...

— ამხანაგო პავლე, — მიმართავდა მეორე დღეს დირექტორს, — მოდი ერთი, კარგი დასაჩუქრება მოვუწყოთ ბავშვებს, მთელი სკოლის თვალწინ. ყველამ იგრძნოს გამარჯვების სიხარული და მნიშვნელობა.

ასეც მოხდა. არ გაუმტყუნა ვარაუდმა სწორი გზების ძიებაში ჩაწაფულ ენთუზიასტს. რაიონულ გაზეთში არაშენდელი მოსწავლეების წარმატებათა გამოქვეყნებას შეურჩიეს სიგელებით მათი საზეიმო დაჯილდოვებაც. დირექტორმა ვრცელი სიტყვით მიმართა სკოლის ეზოში შეკრებილთ, რომლებიც ახლა, ძველი დამცინავი დამოკიდებულების ნაცვლად პატივისცემით შესცქეროდნენ მძლეოსნებს, რომლებმაც სასახელოდ დაიცვეს სკოლის სპორტული ღირსება.

ეს იყო გარდატეხის დასაბამი, იმავე დღეს მოსწავლეთა დიდი ჯგუფი შემოერტყა გარს დავით მასწავლებელს, სწორედ ისინი, რომლებმაც ადრე სექციაში ჩაბმა არ ისურვეს... და სკოლაში ნამდვილ მძლეოსნურ ჯგუფთან ერთად საფუძველი ჩაეყარა ფრენბურთისა და კალათბურთის სექციებსაც.

ათასგვარი საზრუნავი გაუჩნდა ახლა დავით მასწავლებელს და მუშაობაც უფრო საინტერესო, მრავალმხრივი გახდა. „დადგა დრო, როცა ნამდვილი ბაზების შექმნაზე უნდა ვიზრუნო, — დაასკვნა მან, — უამისოდ არაფერი გამოვა და ბოლოსდაბოლოს, ბავშვებსაც მობეზრდებათ.“

მალე მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის შედგა საქმიანი საუბარი, რომელსაც მეორე დღიდანვე გაცხარებული მუშაობა მოჰყვა: სკოლის ეზოში გულდასმით მოასწორეს საფრენბურთო მოედნისათვის გამოყოფილი ფართობი, ბოძები ჩამოზიდეს ტყიდან და სკოლის თანხებით ბადეც იქნა შეძენილი. სკოლის ეზო დაამშვენა ფრენბურთის კოხტად მოწყობილმა მოედანმა, საგულდაგულოდ გაკეთებულმა სახტომმა ორმომ.

ამ საქმიანობაში გავიდა 1954 წელი. დ. ნაცვლიშვილის მიერ წამოწყებული საქმე დღითიდღე მტკიცე საფუძველზე დგებოდა. ჭაბუკთა ფუსფუსმა არაშენდელი გოგონებიც დააინტერესა, რითაც წამსვე ისარგებლა პედაგოგმა და მათგან პირველი სპორტული ჯგუფი ჩამოყალიბდა.

კიდევ უფრო ნაყოფიერად გაიშალა მუშაობა ახალ ბაზებზე და შედეგებმაც არ დააყოვნა. მოსწავლეთა 1955 წლის სარაიონო პირველობაზე არაშენდელმა ჭაბუკმა მძლეოსნებმა, ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა ზედიზედ მოიგეს პირველი ადგილები, ხოლო გოგონების ფრენბურთელთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. სკოლა, რომელიც სულ ორიოდე წლის წინ ჩამორჩენილთა შორის ითვლებოდა რაიონში, ახლა მისი ჩემპიონი გახდა! და უკვე მეოთხე წელია ეს ტიტული აღარავისთვის დაუთმიათ არაშენდელ მოსწავლეებს. დაუთმიათ კი არა და, წლიდან წლამდე სულ უფრო მტკიცე და დამაჯერებელი ხდებოდა მათი უპირატესობა, ვინაიდან სულ უფრო მძლავრად ეყრებოდა მას საფუძველი ზემოთ, გორებზე მოფენილი სოფლის კაკლის ხის ჩრდილით დაბურულ ვრცელ ეზოში: სკოლაში აიგო კალათბურთის მოედანი, 300-მეტრიანი სტაბილური, ნახერხით მოფენილი სარბენი ბილიკი, სხვადასხვა მძლეოსნური სექტორები; მძლეოსნობის ჯგუფში ჩაებნენ გოგონებიც და წევრთა რიცხვმა 20-ს გადააჭარბა; კალათბურთსა და ფრენბურთშიც დაიწყეს გოგონებმა წვრთნა და ისევე როგორც ვაჟებმა, უკვე ორ-ორი გუნდი შეადგინეს.

ბუნებრივია, ამ დიდი ენთუზიაზმის, ხანგრძლივი და სისტემატური შრომის შედეგები დიდხანს არ ჩაიკეტებოდა რაიონის ფარგლებში. მას შემდეგ, რაც არაშენდას სკოლამ აქ მტკიცედ დაიმკვიდრა უძლიერესის სახელი, უკვე მთელი რაიონის სპორტული სახელის დაცვა დაეკისრათ დავით მასწავლებლის აღზრდილებს და მათ ღირსეულად იტვირთეს ეს მოვალეობაც: 1955 წელს მძლეოსნობაში კახეთის ზონალურ პირველობაზე — მესამე საპრიზო ადგილი; 1956 წელს „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაზე ორი არაშენდელი მოსწავლემძლეოსანი იკავებს პირველ ადგილს და შემდეგ რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში ოდესაში ეჯიბრება საბჭოთა კავშირის საუკეთესო კოლმეურნე-სპორტსმენებს; 1957 წელს იგივე სურათი მეორდება იმ განსხვავებით, რომ საქართველოს „კოლმეურნის“ სპორტულ ღირსებას უკვე სამი არაშენდელი სპორტსმენი იცავს; ამავე წელს, თბილისში მოსწავლეთა მასობრივი კროსის ჩატარების შემდეგ მანანა ნაცარაშვილი, ზინა ჩივიაშვილი და გივი ბერიძე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში შედიან. მომდევნო წელს გ. ბერიძე კვლავ ამტკიცებს ამ მიღწევას და მოსწავლეთა საკავშირო მასობრივ საგაზაფხულო კროსში (რომელიც მოსკოვს ჩატარდა) მეექვსე ადგილს იკავებს.

დავით მასწავლებლის აღზრდილები მძლეოსნობის ფართო ასპარეზზე გავიდნენ! ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა საქართველოს მოსწავლეთა X რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, სადაც ზონაში გამარჯვებული კაჭრეთის რაიონის გუნდის 6 წევრიდან — ხუთი არაშენდელი მოსწავლე იყო. და ყოველი მათგანი, როცა ის „დინამოს“ სტადიონზე სპორტულ პაექრობაში ებმებოდა, მთელის არსებით გრძნობდა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ მასწავლებელმა ჩაუნერგა. ამის კანონზომიერი შედეგი იყო ისიც, რომ 1500 მეტრზე რბენაში პირველი და მესამე საპრიზო ადგილი არაშენდელმა მოსწავლეებმა გივი ბერიძემ და კობა ჯაშიაშვილმა მოიპოვეს.

დავით ნაცვლიშვილის ორივე აღზრდილს — რესპუბლიკის ნაკრების წევრებს, მოკლე ხანში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა მოუხდებათ საკავშირო ასპარეზზე. ეჭვს გარეშეა, ასეთი სიხარული, პასუხისმგებლობის ასეთი გრძნობა კიდევ მრავალ წელს გაჰყვება ტრადიციად არაშენდელ მოსწავლეებსა და მასწავლებელს — ამის საწინდარი ზემოთ, კაკლის ხის ჩრდილით დაბურულ ეზოში გაშლილი დაბეჯითებული, თავდავიწყებული მუშაობაა.

...დღეს აღარავინ იცინის არაშენდის სკოლის ეზოში „ტლინკაობით“ გართული ახალგაზრდების შემხედვარე. პირიქით, თანასოფლელები ღრმა ინტერესით ადევნებენ თვალყურს ნორჩ სპორტსმენებს, რადგან იციან — აქ, ამ ყოველდღიურ წვრთნაში იჭედება ის საამაყო წარმატებები, რომლებსაც მათი სოფლის სპორტული ღირსება შორს, საკავშირო სარბიელზეც გააქვთ.

**შ. ჯულელი**



სურათებზე: ზევით — დ. ნაცვლიშვილი (ცენტრში) თავის აღზრდილებთან, რესპუბლიკის ჭაბუკ მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრებთან — კ. ჯაშიაშვილთან (მარცხნივ) და გ. ბერიძესთან. ქვევით — მძლეოსანთა სექციის მეცადინეობა არაშენდის სკოლაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა



სურათზე: მოსკოველი სპორტის ოსტატი ალდონა კარატკაიტე ტრამპლინიდან ხტომის დროს.

# ივლისი 19 ივლისი

## ფიზკულტურელის პარკში 17 საათზე გაიხსნება საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში

მონაწილეობენ ევროპის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და სხვა უძლიერესი სპორტსმენები

# გზა ჩემპიონობისაკენ

საცურაო აუზთან ნინელი ბეზ-ზაბოტნოვა (ამჟამად ნ. კრუტოვა) ცნობისმოყვარეობამ მიიყვანა: როგორ შეიძლება იცურავო მაშინ, როცა გარეთ თოვლი ბარდნის და მისი ამხანაგები ყოველ დღე საციგურაოდ დადიან? მაგრამ დამთავრდა შეჯიბრება და გოგონას სრულებითაც არ ეჩქარებოდა წასვლა ამ „ზღაპრული" დარბაზიდან.

ერთ დღეს გოგონა შემთხვევით მოხვდა ნორჩთა მეცადინეობაზე წყალში ხტომაში, რომელსაც ცნობილი მწვრთნელი ნ. გლუშკო ატარებდა. ნინელის სუნთქვა შეეკრა, როცა დაინახა თუ როგორ მოწყდა ხუთმეტრიანი კოშკიდან პატარა ბიჭუნა, ჰაერში სწრაფად შეტრიალდა, შემდეგ ისევ გასწორდა და სოლივით ჩაეშვა წყალში. გოგონამ მეცადინეობის დამთავრებას დაუცადა, შემდეგ მოკრძალებით მიუახლოვდა მწვრთნელს და ჯგუფში ჩაწერა თხოვა.

ასე დაიწყო მომავალი ჩემპიონის „ნაცნობობა" წყალში ხტომასთან ოცი წლის წინათ. გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ერთი წლის მეცადინეობამ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა ნორჩ სპორტსმენს: მან საკავშირო ასპარეზობაში პირველი ადგილი მოიპოვა ბავშვთა შორის.

...1941 წლის გაზაფხულზე მოსკოვის ერთ-ერთ აუზში მიმდინარეობდა საკავშირო შეჯიბრება წყალში ხტომაში. ბევრმა სპეციალისტმა მიაქცია მაშინ ყურადღება პატარა, ცოცხალ გოგონას, რომელიც თამამად ასრულებდა ხტომებს ათმეტრიანი კოშკიდან. ამ შეჯიბრებაში მან ბევრ გამოცდილ ოსტატს გადაუსწრო და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ამის შემდეგ ნ. კრუტოვა მოსკოვში გადავიდა სასწავლებლად. ცხადია, სწავლასთან ერთად იგი დაუზარებლად იმაღლებდა წყალში ხტომის ტექნიკას სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჟიგალოვისა და ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით. შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, აი თვისებები, რომლებიც მასში თავიდანვე შეამჩნიეს მწვრთნელებმა.

ნ. კრუტოვასათვის განსაკუთრებით ღირსსახსოვარია 1945 წლის საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში: მან პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მაღალი წოდება და მერე როგორ ბრძოლაში! იგი ერთდროულად გამოდიოდა კოშკიდან და ტრამპლინიდან ხტომაში და ერთდროულადვე ექიშპებოდა ჩვენი ქვეყნის ორ ჩემპიონს — სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ს. ბლოხინასა და ე. ბოგდანოვსკაიას. ნ. კრუტოვა იყო პირველი სპორტსმენი ქალი, რომელმაც ისეთი ტექნიკურად რთული ხტომები დაიწყო, როგორიცაა 2,5 სალტო წინმოხრით, 1,5 სალტო ფრენში, 1,5 სალტო უკან ხელყირიდან. ყველა ამის მეოხებით მან საგრძნობლად გაუსწრო ორივე ჩემპიონს და თვითონ დაისაკუთრა ეს წოდება.

უკვე ორი წლის შემდეგ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ევალება საერთაშორისო სარბიელზე დაიცვას საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება, რაც მან პირნათლად შეასრულა — სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა, ნინელიმ გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მაგრამ აი, დადგა 1952 წელი და წყალში მხტომელთა საბჭოთა გუნდი პირველად წარსდგა ოლიმპიურ თამაშებზე. ჰელსინკში ნ. კრუტოვა პირველად შეხვდა განთქმულ ამერიკელ წყალში მხტომელ ქალს პ. მაკ-კორმიკს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მხტომელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ჩვენი ნაკრები მაინც სუსტად გამოვიდა ამ შეჯიბრებაზე. გამოუცდელობის მღელვარება ბორკავდა მაშინ კრუტოვასაც, თუმცა მან საუკეთესო შედეგი მოიპოვა თანამემამულეთა შორის და მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

ამის შემდეგ დაიწყო ნ. კრუტოვას „დავა" პ. მაკ-კორმიკთან, რომელიც დღესაც გრძელდება. ამ პერიოდში ნინელიმ ბევრი გამარჯვების სიხარული და წარუმატებლობის სიმწარეც განიცადა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI ოლიმპიური თამაშების წელი... ემზადებოდა რა პ. მაკ-კორმიკთან შეხვედრისათვის, ნ. კრუტოვამ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, გამოეკიდა მაღალ კოეფიციენტებს, რომლისთვისაც იგი არ იყო საფუძვლიანად და სტაბილურად მომზადებული. სავალდებულო ხტომების კარგად შესრულების შემდეგ კრუტოვა სუსტად გამოვიდა ნებისმიერ ხტომებში.

მაგრამ ნინელი ვერ გატეხა ამ წარუმატებლობამ. პირიქით, იგი გაათკეცებული ძალებით შეუდგა წვრთნას და უკვე მომდევნო წელს, III საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში მსოფლიოს ისეთ უძლიერეს წყალში მხტომელთა შორის, როგორიც არიან ინგლისელი ე. ლონგი, გერმანელი ა. კსშიპეკი, პოლონელი გ. ბარტოვიაკი და სხვანი, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან მოიგო თამაშების ოქროს მედალი. იმავე წელს ნ. კრუტოვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მაღალი ოსტატობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე წყალში ხტომაში.

მზიური საქართველოს დედაქალაქის სპორტის მოყვარულები ნინელი კრუტოვას იხილავენ 19 ივლისს, როცა იგი თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზში გამოვა უძლიერესებთან ერთად.

**გ. მაზუროვი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**



სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვენერა ბოლკინი კოშკიდან ხტომის დროს.

ფოტოები ვ. ინწკირველისა.

# სტუდენტთა ჩემპიონატი

სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატს სამართლიანად უწოდებენ „მცირე ოლიმპიადას", რადგან მასში მონაწილეობენ არა მარტო სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა გროსმაისტერები და ოსტატები, არამედ ისინიც, რომლებსაც წინა აქვთ დიდი მომავალი. ამიტომ ბრძოლა ყველა მატჩში მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს.

საყოველთაო ყურადღება მიიქცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და არგენტინის გუნდების ლიდერების გროსმაისტერ პანოს და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ამერიკელი ლომბარდის შეხვედრამ პირველ ტურში. არგენტინელმა შესანიშნავი თამაშით დაამარცხა ჩემპიონი. დანარჩენ მატჩებში გუნდების ლიდერები თუმცა ბრძოლას მწვავედ იწყებდნენ, მაგრამ შემდგომში მშვიდობიანი ყაიმით კმაყოფილდებოდნენ. ეს არ ითქმის საბჭოთა გუნდის ლიდერებზე ტალსა და სპასკზე, რომლებიც მთელ მატჩს შემტევ სტილში ატარებენ.

მესამე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ძლიერად ითამაშეს იუგოსლავიის გუნდის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობაში არიან ოსტატები ჯურაშევიჩი, ბერტოკი, ბოგდანოვიჩი და ვუკჩევიჩი. საბჭოთა გუნდმა ეს საპასუხისმგებლო მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1.

სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებსაც 9 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვთ.



**მოტოციკლისტის ნახტომი**

ფოტოეტიუდი
დ. ზალდასტანიშვილისა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისათვის — ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 10 | 6 | 4 | 0 | 25:10 | 16 |
| „ზენიტი" | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 14 |
| ცსკ მო | 11 | 5 | 3 | 3 | 19:12 | 13 |
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ლოკომოტივი" | 10 | 4 | 4 | 2 | 18:12 | 12 |
| „ტორპედო" | 9 | 3 | 5 | 1 | 22:15 | 11 |
| „დინამო" კ. | 10 | 2 | 6 | 2 | 16.13 | 10 |
| „დინამო" თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 16:25 | 10 |
| „დინამო" მ. | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „მოლდოვა" | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | 7 |
| „ადმირალტეეცი" | 12 | 3 | 0 | 9 | 17:31 | 6 |

• • •

**მოსკოვი. 15 ივლისი.** ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და „ტორპედოს" ფეხბურთელები.

თამაში მოიგეს რკინიგზელებმა — 4:1.

• • •

**მოსკოვი. 16 ივლისი.** აქ შედგა კალენდარული მატჩი ცსკ მო-სა და მოსკოვის „სპარტაკს" შორის.

მატჩი მოიგო „სპარტაკმა" — 2:0.

# სსრ კავშირის თასზე

**გროზნო. 14 ივლისი. (ტელეგრაფით).** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „თერგი" (გროზნო) — სკვო (თბილისი).

თამაში მოიგო „თერგმა" ანგარიშით 4:3.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ერევანი) | 13 | 9 | 3 | 1 | 23:4 | 21 |
| სკვო (როსტოვი) | 15 | 9 | 3 | 3 | 35:14 | 21 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 15 | 8 | 5 | 2 | 21:10 | 21 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 15 | 8 | 4 | 3 | 30:16 | 20 |
| „ლოკომოტივი" (ქუთაისი) | 16 | 9 | 2 | 5 | 32:19 | 20 |
| „თერგი" (გროზნო) | 15 | 7 | 4 | 4 | 20:18 | 18 |
| სკვო (თბილისი) | 14 | 7 | 3 | 4 | 22:17 | 17 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 14 | 5 | 5 | 4 | 22:23 | 15 |
| „შახტიორი" (კადიევკა) | 16 | 4 | 6 | 6 | 19:22 | 14 |
| „მეტალურგი" (სტალინგრადი) | 15 | 6 | 2 | 7 | 16:27 | 14 |
| „სპარტაკი" (სტავროპოლი) | 14 | 4 | 5 | 5 | 17:23 | 13 |
| „შახტიორი" (შახტი) | 15 | 4 | 3 | 8 | 10:19 | 11 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 15 | 4 | 2 | 9 | 14:20 | 10 |
| „ტემპი" (მახაჩყალა) | 15 | 3 | 2 | 10 | 10:23 | 8 |
| „ლოკომოტივი" (არტემოვსკი) | 15 | 3 | 2 | 10 | 13:32 | 8 |
| „ტრუდი" (ასტრახანი) | 14 | 2 | 1 | 11 | 12:29 | 5 |

# დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მატჩი კიევისა და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა დუბლიორებს შორის.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

# პირველ ადგილზე ქვეჯგუფში

**ვორონეჟი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).** დამთავრდა მატჩები ქვეჯგუფებში ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლების გათამაშებაში, რომელიც მიმდინარეობს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზზე.

**პირველ ქვეჯგუფში** ჩატარებული მატჩების შედეგად ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: თბილისი, კიშინიოვი, მოსკოვი, ალმა-ატა, მინსკი. **მეორე ქვეჯგუფში** გაიმარჯვეს კიეველმა ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზეა ლენინგრადის სკოლა, მესამეზე — „შრ. რეზერვები" (ლენინგრადი), მეოთხეზე — „პახტაკორი" (ტაშკენტი) და მეხუთეზე — სტალინაბადი.

ამრიგად, ფინალურ ჯგუფში I-IV ადგილებისათვის იბრძოლებენ თბილისის, კიევის, კიშინიოვისა და ლენინგრადის გუნდები.

# დაუკომპლექტებელი გუნდებით

დაბალი შედეგებითა და შეჯიბრებისადმი სპორტული ორგანიზაციების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით აღინიშნა თბილისის პირად-გუნდური შეჯიბრება ჭაბუკთა შორის ტრეკზე რბოლაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამარცხვინოა, რომ შეჯიბრებაზე მონაწილეობდა მხოლოდ 6 გოგონა. ვერც ერთმა ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა მთლიანი გუნდი. შეჯიბრებას საერთოდ თავი აარიდა განათლების განყოფილების გუნდმა, და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა საკავშირო შეჯიბრებამდე, რომელიც ტულაში ჩატარდება, სულ რაღაც ათიოდე დღე დარჩა.

ჭაბუკთა შორის 1-კილომეტრიან სპრინტში ადვილად გაიმარჯვა სპარტაკელმა გ. გეურქოვმა. გოგონებიდან ამ მანძილზე უძლიერესი აღმოჩნდა ი. კაკაშვილი („განთიადი"). ვაჟთა შორის დანარჩენი საჩემპიონიც აღინიშნა გ. გეურქოვის გამარჯვებით. მან 1-კილომეტრიანი მანძილი დაფარა 1.16,3 წუთში, პირველი იყო ჯგუფურ რბოლაში 30 წრეზე და ყველაზე სწრაფად დაამთავრა ოთხკილომეტრიანი მონაკვეთი ინდივიდუალურ რბოლაში — 5,27 წუთი. გოგონათა შორის ორკილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა მოიგო ნ. ტყებუჩავამ — 3,17 წუთი.

რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე. „სპარტაკის" გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ შაყულაშვილი, ვაშაკიძე, გეურქოვი და ისმაილოვი, მანძილი დაფარა 5.07,6 წუთში.

**გ. სამსონაძე**





ჰარი გრეგი
(ჩრდ. ირლანდია)



ორვარ ბერგმარკი
(შვეცია)



ნილტონ სანტოსი
(ბრაზილია)



ბენგტ გუსტავსონი
(შვეცია)



იური ვოინოვი
(სსრ კავშირი)



ჰორსტ შიმანიაკი
(გფრ)



მანუელ ფრანცისკო დოს სანტოსი — „გარინჩა"
(ბრაზილია)



ვალდირ ფერეირა — „დიდი"
(ბრაზილია)



რაიმონ კოპა
(საფრანგეთი)



ელვალდო ალვეს სანტა როსა — „პელე"
(ბრაზილია)



ლენარტ სკოგლუნდი
(შვეცია)

## ჩვეულებრივი წინდახედულება

პირველად მსოფლიო პირველობათა ისტორიაში, შვეციის ჩემპიონატში მიღებულ იქნა საგანგებო ზომები საიმისოდ, რომ რომელიმე გუნდში ადგილი არა ჰქონოდა რაიმე მაქინაციას თამაშში მოთამაშეთა გამოყვანისას.

ყოველი მატჩის წინ მსაჯი საგანგებოდ ამოწმებდა მოთამაშეთა საბუთებს მათზე დაკრული ფოტოსურათების მიხედვით. იგივე ოპერაცია წარმოებდა მეორე ტაიმის დაწყების წინაც.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რა საჭიროა ასეთი დეტალური შემოწმება, როცა თვითეული სახელმწიფოს ნაკრები გუნდის წევრებს ყველა კარგად იცნობს, ფიფა-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მხოლოდ ესა თქვა:

— მაინცდამაინც არაფერი. ჩვეულებრივი წინდახედულებაა!..

## სიტყვა—სიტყვაა

პარიზის ცენტრში დგას ლამაზი სამსართულიანი შენობა, რომელსაც აწერია „ბ-ნ დიორის მოდების სახლი".

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის წინ მოდების ამ სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თუ საფრანგეთის ნაკრები გუნდი მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს, ბ-ნი დიორი გუნდის ყოველი წევრის მეუღლეს ან საცოლეს საკუთარ ხარჯზე საგანგებოდ შეუკერავს უძვირფასეს კაბას.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ფეხბურთელებმა ჩემპიონატში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. მაგრამ ფირმამ არ გატეხა სიტყვა. ბ-ნმა დიორიმ გუნდის სახელზე დეპეშა გაგზავნა სტოკჰოლმში: „მოგილოცავთ მესამე ადგილს. ქალბატონებს შეუძლიათ მობრძანდნენ კაბების მოსაზომებლად".

## ზ ე ი მ ი  ბ რ ა ზ ი ლ ი ა შ ი

თვითმფრინავით 3 დღის მგზავრობის შემდეგ, როცა 2 ივლისს საჰაერო ხომალდი ბრაზილიის მიწაზე დაეშვა (ეს იყო ქალაქ რესიფის აეროდრომი), მას აუარებელი ხალხი დახვდა. აქ იყვნენ ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროს, ბელუ-ორიზონტის, სალვადორის ასი ათასობ თ არა მარტო ფეხბურთის მოყვარული, არამედ ისინიც, ვისაც საკუთარი თვალით უნდოდა ენახა ფეხბურთის „ჯადოსანთა" გუნდი, რომელმაც ბრაზილიას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ბრაზილიელ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების სამშობლოში ჩამოსვლის დღე — 2 ივლისი ბრაზილიის პრეზიდენტმა არასამუშაო დღედ გამოაცხადა. მსოფლიო ჩემპიონების თვითმფრინავმა ქალაქ რესიფიდან კურსი დედაქალაქისაკენ აიღო, თვითმფრინავს მოჰყვებოდა საპატიო ესკორტი — 15 რეაქტიული გამანადგურებელი და როცა თვითმფრინავი რიო-დე-ჟანეიროს აეროდრომზე დაეშვა, მსოფლიო ჩემპიონები ათასობით ბრაზილიელთა რკალში მოექცნენ. ადვილი როდი იყო აეროდრომიდან ქალაქში შესვლა. რიო-დე-ჟანეირომდე 20-კილომეტრიანი გზა-ტკეცილი ისეთი გაუვალი აღმოჩნდა ათასობით ალტაცებულ ადამიანთა ცოცხალი წინაღობის გამო, რომ ფეხბურთელთა დასახვედრად გამგზავრებული, თვით ქალაქის მერი იძულებული შეიქნა სასწრაფოდ ეშოვნა ვერტმფრენი და ისე გამგზავრებულიყო მსოფლიო ჩემპიონების დასახვედრად.

თვითმფრინავი ჯერ კიდევ ადგილზე ტოკავდა, რომ მას შემოეხვია სიხარულისაგან ყველაზე უფრო აღგზნებული ასობით ბრაზილიელი. ფეხბურთელებს არ აცლიდნენ ავტომანქანაში ჩასხდომას, ისინი ხელში აყვანილი მიჰყავდათ, ისე, რომ თითო-ოროლამ თუ მოასწრო ავტომანქანაში ჩაჯდომა.

შესანიშნავი სანახავი იყო ბრაზილიის დედაქალაქისაკენ მიმავალი გზა. 1000 მოტოციკლისტი გაჰყვა კოლონას. აეროდრომიდან რიო-დე-ჟანეირომდე 20 კილომეტრის დაფარვას მსოფლიო ჩემპიონებს 4 საათზე მეტს მოუნდნენ სანამ პრეზიდენტის რეზიდენციამდე მიაღწევდნენ, სადაც მათ სადღესასწაულო მიღება ელოდათ. ბრაზილიის პრეზიდენტის კუბიჩეკის სასახლეში უნახავი ზეიმი მოეწყო. პრეზიდენტმა მსოფლიო ჩემპიონებს სამახსოვრო ოქროს მედლები გადასცა, ხოლო საღამოს ფეიერვერკებით აელვარებულ ქალაქის ქუჩებში, პარკებში, მოედნებზე რიო-დე-ჟანეიროს თითქმის ყველა მკვიდრი გამოვიდა, რათა თავისებურად ედღესასწაულა ეს შესანიშნავი გამარჯვება.

3 ივლისს „არაქათგამოლეული" ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩავიდნენ სან-პაულოში, სადაც მათ ასეთივე ღირსეული შეხვედრა მოუწყეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გამარჯვებულებისადმი მიძღვნილი ზეიმი 15 ივლისამდე გაგრძელდა. ამ დღეს პრეზიდენტმა გამართა საზეიმო საუზმე, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონები მიიღო ეროვნულმა კონგრესმა და რიო-დე-ჟანეი-რ ს მუნიციპალურმა საბჭომ. ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური დღე — 29 ივნისი გამოცხადდება ეროვნულ დღესასწაულად.

## ქალაქის თასზე

თითქმის ორ თვეს გაგრძელდა ბრძოლა თბილისის თასზე ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ფიზკულტურული კოლექტივების 46 გუნდი. ეს გათამაშება მიეძღვნა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავს.

გათამაშების ფინალში გავიდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდები. მატჩი დამთავრდა ტრამვაელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 4:0, რომლებმაც მოიპოვეს ქალაქის თასი.

შეჯიბრების დებულების თანახმად ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს თასის გათამაშებაში. ამის შემდეგ რესპუბლიკის თასის მფლობელი ჩაებმება საკავშირო თასისათვის ბრძოლაში.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ქალაქის გუნდებში ჯერ კიდევ არასათანადო სიმაღლეზე დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა მოთამაშეთა შორის. ხშირი იყო წესრიგის უხეში დარღვევისა და მოთამაშეთა მინდვრიდან გაძევების შემთხვევები. დისციპლინის დარღვევას ჰქონდა ადგილი № 1 სამკერვალო ფაბრიკის, კერამიკული კომბინატის, „ნორჩი დინამოელის", ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის და სხვა გუნდებში. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ თავიანთ კოლექტივებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ა. გონელი

## „სპარტაკის" პირველობაზე

ქ. ცხაკაიაში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში.

შეჯიბრება წარმატებით დაამთავრეს ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოუგეს თელავისა (3:0) და მახარაძის (2:0) თანაკლუბელებს და ფრედ (0:0) დაამთავრეს შეხვედრა სტალინირელებთან. ქულათა თანაბარი რაოდენობა — 5 აღმოაჩნდათ ცხაკაიასა და სტალინირის გუნდებს, მაგრამ ვინაიდან ცხაკაიელებს ბურთების უკეთესი შეფარდება ჰქონდათ, პირველი ადგილი მათ მიეკუთვნათ.

ცხაკაიას „სპარტაკი" მონაწილეობას მიიღებს სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე, რომელიც მინსკში ჩატარდება.

ე. გუგუნავა

## მედიცინის მუშაკთა სპარტაკიადა

სპორტსაზოგადოება „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს ბაზებზე ჩატარდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურის კოლექტივების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა, ფრენბურთი, ტყვიით სროლა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

სპარტაკიადაში პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკური საავადმყოფოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

ზ. მამინაშვილი

# ხვალ „დინამოს" სტადიონზე

## ალიმართება პროფკავშირების მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის ალამი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03926